



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
ბრძანება



MES 0 23 0001716177



15/12/2023

**ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული გადამზადების
პროგრამის „მოძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე“ ელექტრონულ
სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის 2023 წლის 14 დეკემბრის №1709757 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N59/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის“ მე-2 მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დარეგისტრირდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (ს/კ:402019917) პროფესიული გადამზადების პროგრამა „მომზადების უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე“ (დანართი).
2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრის
დირექტორის მოადგილე
კახაბერ ერაძე



პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01841	მოძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე	გადამზადება	მესამე	10	ქართული	40	ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ, ნაკვეთი 01/10 სს „საქართველოს რკინიგზა“, ქ. სამტრედია, რუსთაველის ქ. №28, შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“, ქ. თეთრიწყარო, სოფ. დაღეთი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

კოლეჯის დირექტორის

2023 წლის 28 ნოემბრის

ბრუნავს N120



RTC სარკინიგზო
ტრანსპორტის
კოლეჯი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: მოძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე

პროგრამის სახე:

პროფესიული მომზადება

პროფესიული გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:

2 3 4 5

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 10

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური 5 მაქსიმალური 20

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება, სარკინიგზო მიმართულებით მინიმუმ 6 თვიანი სამუშაო გამოცდილება.

პროგრამის მიზნები: მსმენელთა გადამზადება, რომელიც შეძლებს შეიმუშაოს სამუშაოს ნეგატიური ასპექტებისგან დასაქმებულთა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მექანიზმები, შექმნას პირობები ჯანსაღი, უსაფრთხო და ღირსეული საქმიანობისთვის.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა;
2. სამუშაო ადგილზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა
3. შრომითი უსაფრთხოების ნორმების დაცვა სამუშაო მოედანზე
4. გარემოს დაცვითი ნორმების დაცვა
5. პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა
6. მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა სცბ-ს მოწყობილობების ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოებისას
7. მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის დროს
8. შემადგენლობათა დაშლისა და სამანევრო მოძრაობათა უსაფრთხოების უზრუნველყოფა გორაკის მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოების წარმოებისას
9. მატარებელთა მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ორგანიზაციის განსაზღვრა სიგნალიზაციის ინსტრუქციით დადგენილი მოთხოვნების შესრულებით.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

„რკინიგზის ოპერირების“ და „სარკინიგზო მრავიანი ტრანსპორტის“ ჩარჩო დოკუმენტებში შემავალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“, „ლოკომოტივის მართვა“, „სარკინიგზო გადაზიდვები“, „სავაგონო მეურნეობა“ და „რკინიგზის ელექტრო მოძრაეი შემადგენლობა“;

მოდული: „სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა“;

პროგრამის მოკლე აღწერა: წარმოდგენილი მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 10 კვირა, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა - 15 საათი, რაც ჯამში შეადგენს 150 საათს.

სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის ნორმების დაცვის ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენება აუცილებელ პირობას წარმოადგენს ყველა რკინიგზელისთვის და შესაბამისად, გამოიკვეთა არსებული კადრების მოძრაობის უსაფრთხოების მიმართულებით გადამზადებისა და დამატებითი უნარების გამომუშავების საჭიროება.

პროგრამის დასრულების შემდეგ პირი შეძლებს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოს შრომის დაცვითი ღონისძიებების დანერგვა და მართვა. ასევე ეცოდინება პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის მექანიზმები, სამუშაო ადგილზე სანიტარულ-ჰიგიენური, შრომითი უსაფრთხოების, გარემოს დაცვითი და პროფესიული ეთიკის ნორმები, მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის დროს სიგნალიზაციის ინსტრუქციით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის წარმატებით დასრულებისა და სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

***განხორციელების მიდგომების შესახებ იხ. შენიშვნა**

2.პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლოგარემო
1	<ul style="list-style-type: none"> პირველი სამედიცინო დახმარების საშუალებები; პირველი სამედიცინო დახმარება ტრამვის შესაბამისად; მოტეხილობის დროს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; დაჟეჟილობის დროს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; სისხლდენის დროს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; დამწვრობის დროს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. 	1	15	ლექცია, დისკუსია	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, C **
2	<ul style="list-style-type: none"> ელექტრო დენით დაშავებულისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; თბური დაკვრის და მოყინვის დროს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; ზოგადი და პირადი ჰიგიენის დაცვის მნიშვნელობა. 	1,2	15	ლექცია, დისკუსია	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, C
3	<ul style="list-style-type: none"> ზოგადი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები; სპეცტანსაცმლის დანიშნულება და გამოყენების წესი; 	2, 3	15	ლექცია, დისკუსია	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, C

	<ul style="list-style-type: none"> • სამოქმედო არეალში შესაძლო რისკების სახეები; • სამოქმედო არეალში შესაძლო რისკების შესაბამისი ღონისძიებები; • სამუშაოს უსაფრთხოდ წარმოების წესები; • სამუშაო მოედნის უსაფრთხოების შემოწმების პროცესი; • ელექტროსადენების, ორმოების, ბასრი სახიფათო ნარჩენების და მსგავსი საფრთხეების გავლენა მუშაობაზე. 					
4	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაო მოედანზე უსაფრთხოდ გადაადგილების წესები; • ხელსაწყო-იარაღების გამოყენების შესახებ მწარმოებლის ინსტრუქციები; • გარემოს დაცვის ნორმები; • გარემოს დაცვის უზრუნველყოფის საფუძვლები; • ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვა; გარემოს დაცვის გლობალური და რეგიონალური მართვა; • გარემოს დაბინძურებით მოსალოდნელი რისკები; გარემოს დაცვითი ღონისძიებები; • ღია გარემოში ხანძრის გამომწვევი მიზეზები; • სახანძარო უსაფრთხოების ნორმები და მისი ჩაქრობის პირველი მოქმედებები. 	3, 4	15	ლექცია, დისკუსია	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, C

5	<ul style="list-style-type: none"> • ცეცხლის ქრობის ძირითადი საშუალებანი; • შესაძლებლობის ფარგლებში ეკოლოგიური გარემოს დაცვა; • ელექტრო მექანიკოსის მოვალეობები; ელექტრო მექანიკოსის პასუხისმგებლობის ზღვარი; • ტექნიკის გაუმართაობის შემთხვევაში მის მიერ ჩასატარებელი ღონისძიებები; • ორგანიზაციაში არსებული უსაფრთხოების ინსტრუქციების მნიშვნელობა. 	4, 5	15	ლექცია, დისკუსია	გამოკითხვა	A
6	<ul style="list-style-type: none"> • საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები სცბ-ს მოწყობილობების ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოების ჩატარების დროს; • მოწყობილობები, რომლებიც უნდა ამოირთონ ელ.ცენტრალიზაციის სისტემიდან მათი გარემონტების, მონტაჟის ან შეცვლის დროს; • მოწყობილობები, რომელთა გარემონტება და მონტაჟი შესაძლებელია ელ. ცენტრალიზაციის სისტემიდან მათი ამორთვის გარეშე; • მატარებელთა მიღება, გაგზავნა და სადგურებში სამანევრო გადაადგილების წესები. 	6, 7	15	ლექცია, დისკუსია	გამოკითხვა	A

7	<ul style="list-style-type: none"> • მოძრაობის წესები ავტომატური ბლოკირების, ნახევრად ავტომატური ბლოკირების და ელექტროკვერთხული სისტემის არსებობისას. მატარებელთა მოძრაობის წესები დისპეტჩერული ცენტრალიზაციით აღჭურვილ უბნებზე, მატარებელთა მოძრაობის წესები; კავშირის სატელეფონო საშუალებებისას; • მატარებელთა მოძრაობის წესები სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის ყველა საშუალებების მოქმედების შეწყვეტისას; • მატარებელთა მოძრაობის წესები სადგურებში სცბ-ს მოწყობილობათა ნორმალური მუშაობის დარღვევისას; • მატარებლების (დრეზინების), სახანძრო მატარებლებისა და დამხმარე ლოკომოტივების მოძრაობა; 	7	15	ლექცია, დისკუსია	გამოკითხვა	A
8	<ul style="list-style-type: none"> • მატარებლების(დრეზინების) მოძრაობა რკინიგზის ლინდგებზე და ნაგებობებზე სამუშაოების წარმოებისას; • სამატარებლო დისპეტჩერის მუშაობის წესი; • შემადგენლობათა დაშლისა და სამანევრო მოძრაობათა უსაფრთხოების უზრუნველყოფით 	7, 8	15	ლექცია, დისკუსია	გამოკითხვა	A

	<p>გორაკის მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოების წარმოების წესები:</p> <ul style="list-style-type: none"> • გორაკის ცენტრალიზებული ისრების რემონტისა და ამორთვის; 					
9	<ul style="list-style-type: none"> • გორაკებზე იზოლირებული უბნების, ფოტოელექტრული მოწყობილობების (ფემ-ების) ამორთვის, ვაგონის შემნელებლების რემონტისა და ამორთვის, გორაკის მართვის კულტების რემონტისა და შეცვლის, ანახსნების დაგროვების სიჩქარის ავტომატური რეგულირების(სარის) მოწყობილობათა რემონტისა და ამორთვის, მექანიზებულ და ავტომატიზებულ მახარისხებელ გორაკებზე ხელსაწყოთა შეცვლის, ძირითადი სამუშაოთა ნუსხა; • მახარისხებელი გორაკის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურების, რემონტისა და უწყესივრობების (მტყუნებათა) აღმოფხვრის ძირითად საშუალებათა წარმოებისას ლიანდაგების, ისრული გადამყვანების, სცბ-ს, კავშირგაბმულობის და საკონტაქტო ქსელის დათვალიერების დავთარში ჩანაწერთა გაფორმების ნიმუშები; 	8, 9	15	ლექცია, დისკუსია	გამოკითხვა	A

	<ul style="list-style-type: none"> • შუქნიშნების: შესასვლელი, მოსაწვევი, გასასვლელი, სამარშრუტო(მატარებლების მიღებისას), სამარშრუტო შუქნიშანი (მატარებლების გაგზავნისას), გასავლელი, პირობითი–ნებადამრთველი, მიმფარავი და გადამღობი, მაფრთხილებელი და მამეორებელი და სალოკომოტივო შუქნიშნებისა და სიგნალების ჩვენებები სხვადასხვა სისტემებით აღჭურვილი სხვადასხვა უბნების და სხვადასხვა გადაადგილებების დროს; • შეზღუდვის სიგნალების: გადასატანი სიგნალების და სასიგნალო ნიშნები, სიჩქარის შემცირების დისკო, გადასარბენზე მატარებლების მოძრაობისათვის დაბრკოლებებისა და სამუშაოების წარმოების ადგილების შეზღუდვა. 					
--	---	--	--	--	--	--

10	<ul style="list-style-type: none"> • სადგურებში მატარებლების მოძრაობისათვის დაბრკოლებებისა და სამუშაოების წარმოების ადგილების შეზღუდვა; • სადგურის ლიანდაგებზე მოძრავი შემადგენლობის შეზღუდვა; • გადასარბენზე მატარებლის შეზღუდვა იძულებითი გაჩერების დროს სიგნალების დანიშნულება და ჩვენებები; • სასიგნალო მაჩვენებლების და ნიშნების: სამარშრუტო მაჩვენებლების, საისრე მაჩვენებლების, ლიანდაგის შეზღუდვის მაჩვენებლის, ჰიდრავლიკური სვეტების მაჩვენებლის, გადამეტხურებული ბუქსის მაჩვენებლის, ბლოკ-უბნის საზღვრების მაჩვენებლის დანიშნულება. 	9	15	ლექცია, დისკუსია	გამოკითხვა	A
----	---	---	----	------------------	------------	---

*შენიშვნა: წინამდებარე პროგრამის შემუშავების საჭიროება დაეფუძნა რეგიონებში სარკინიგზო ინდუსტრიაში კადრების მაღალი მოთხოვნის და დარგში რკინიგზის მიერ გამოცხადებული საპენსიო ასაკის მიღწეული ადამიანების ლოიალობის პროგრამების ფარგლებში გამოწვეულ დეფიციტს, რომლისთვის საჭირო გახდა ადგილობრივი რკინიგზელების გადამზადება ე. თეთრიწყაროსა და ე. სამტრედიისში ჰიბრიდული სასწავლო ცენტრების მოწყობით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პროგრამა განხორციელდება ე. თბილისშიც.

****შენიშვნა:** C გარემო გადატანილია სს „საქართველოს რკინიგზისა“ და შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ ობიექტებზე, შესაბამისი აღჭურვილობით და მასალა-ნედლეულის უზრუნველყოფით პარტნიორი ორგანიზაციის მიერ.

3.პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

<p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელსაც ეფუძნება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა „სარკინიგზო გადაზიდვები“, „ლოკომოტივის მართვა“, „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“, „სავაგონო მეურნეობა“, „რკინიგზის ელექტრო მოძრაობის შემადგენლობა“.</p>	
<p>მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი</p>	<p>სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი</p>
<p>სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა - 0711716</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა; 2. სამუშაო ადგილზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა; 3. შრომითი უსაფრთხოების ნორმების დაცვა სამუშაო მოედანზე 4. გარემოს დაცვითი ნორმების დაცვა 5. პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა 6. მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა სცბ–ს მოწყობილობების ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოებისას 7. მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის დროს. 8. შემადგენლობათა დაშლისა და სამანევრო მოძრაობათა უსაფრთხოების უზრუნველყოფა გორაკის მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოების წარმოებისას 9. მატარებელთა მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ორგანიზაციის განსაზღვრა სიგნალიზაციის ინსტრუქციით დადგენილი მოთხოვნების შესრულებით.